# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N397 2024 წლის 18 მარტი ქ. თბილისი

## საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, „ა(ა)იპ – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 ოქტომბრის №1837 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიერ სამინისტროსა და ა(ა)იპ – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას (შემდგომში – სემინარია) შორის გაფორმებული 2023 წლის 20 ოქტომბრის №70 ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსებიდან სემინარიის მიერ 62,325.00 ლარის ოდენობით გაწეული ხარჯის შესახებ.

2. დაევალოს სამინისტროს ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სემინარიის მიერ 62,325.00 ლარის ოდენობით გაწეული ხარჯის შესახებ შესაბამისი დაფინანსების ხელშეკრულების გაფორმება.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე